სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 79

ქ. ახალციხე 08 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული, (ქ.ახალციხე, შ. ახალციხელის №2), წარმოდგენილი მერის **გიორგი კოპაძეს** სახით შემდგომში წოდებული როგორც "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი** ივანე ათოშვილის **სახით (იური.მის: ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი უდე; ფაქტ. მის: ქ. თბილისი, პეტრე გამყრელიძის ქ. №25, პ/ნ 03001003121; პასპორტის №d1307600)**, შემდგომში ,,მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად (ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მაისის განკარგულება №26 06) ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ქ. ახალციხეში, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ახალი ადმინისტრაციული შენობისათვის ავეჯის დიზაინისა და მოდელების ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფაზე (CPV კოდი 71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემდეგ თანხაზე: 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ-"ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარული დღე, კვირას, თვეს.

1.6 "მომსახურება" ნიშნავს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 "შემსყიდველი"- ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **ფიზიკურ პირ** ივანე ათოშვილთან ("მიმწოდებელი") აფორმებს ხელშეკრულებას ქ. ახალციხეში, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ახალი ადმინისტრაციული შენობისათვის ავეჯის დიზაინისა და მოდელების ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფაზე, შემდეგ თანხაზე: 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებას შეადგენს: 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს, **საშემოსავლოს გათვალისწინებით.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვლისწინებულ შემთხვევებისა.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვის ინსპექტირების ჯგუფი.
5.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. მომსახურების გაწევის პირობები

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეიცავდეს:
ქ. ახალციხეში, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ახალი ადმინისტრაციული შენობისათვის ავეჯის დიზაინისა და მოდელების ესკიზური პროექტი უნდა იყოს შექმნილი თანდართული არქიტექტურული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.
ავეჯის განლაგება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული შენობის I, II და III სართულებზე ოთახების ფუნქციონალური განლაგებისა და დატვირთვის შესაბამისად (შემსყიდველთან შეთანხმებით)

სავარაუდო შესასყიდი ავეჯის ჩამონათვალი:

№	დასახელება
1.	სამუშაო მაგიდა (კომპიუტერის)
2.	საარქივო სტელაჟები
3.	კაბინეტი N18,20 III სართული, N18,20 II სართული (ნაკრები: მაგიდა, დეკორატიული კარადა, რბილი ავეჯი, სათათბირო მაგიდა)
4.	კაბინეტი N14,15 III სართული, N16 II სართული (ნაკრები: მაგიდა, დეკორატიული კარადა და რბილი ავეჯი საჭიროების შემთხვევაში)
5.	საერთო მოსასვენებლები N19 II-III სართულები - მაგიდა, რბილი ავეჯი.
6.	თეჯირი
7.	სათათბირო მაგიდა 30 პერსონალზე
8.	კარადები
9.	ავეჯი მოსასვენებელი ოთახისათვის
10.	სასადილო, სამზარეულოს ნაკრები(სამზარეულო და სამზარეულოს კარადები)
11.	სკამი დარბაზისათვის
12.	სკამი პერსონალის
13.	სკამი უფროსისათვის
14.	სკამი სტუმრისათვის
15.	სკამი მისაღების

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება "მიმწოდებლის" მიერ შემდეგ მისამართზე: ქ.ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში (2015 წლის 18 ივნისი ჩათვლით), უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის.

6.4 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. ავეჯის დიზაინის შემუშავება -ესკიზები 4 ეგზემპლიარად (ალბომის სახით) და 4 ელ. ვერსიის სახით;
2. ტექნიკური დოკუმენტაცია -ნახაზებით 4 ეგზემპლიარად (ალბომის სახით) და 4 ელ. ვერსიის სახით;
3. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად (ალბომის სახით) და 4 ელ. ვერსიის სახით;
4. მასალების სპეციფიკა4 ეგზემპლიარად (ალბომის სახით) და 4 ელ. ვერსიის სახით;
5. ავეჯის განლაგების გეგმა4 ეგზემპლიარად (ალბომის სახით) და 4 ელ. ვერსიის სახით;

6.5 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება "შემსყიდველის" მიერ მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. თანმდევი მომსახურება

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან.

7.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება ჩაბარება მოხდება ერთ ეტაპად, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მომსახურების დასტურად.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურებისა დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა.

8.3. მიწოდების სრულად დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

8.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის წარმომადგენლები (ინსპექტირების ჯგუფი).

9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

9.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ერთ ეტაპად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

9.3. მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერისათვის მიმწოდებელი წარმოადგენს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობის დოკუმენტს.

9.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წესით:

მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 30 კალენრადული დღის განმავლობაში, შემდეგ ანგარიშზე:

სს „ თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი _TBCBGE22
ა/ა GE25TB7197945063600025

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5 მიმწოდებლის მხრიდან კონცეფციის შეცვლის შემთხვევაში თუ აღნიშნული გამოიწვევს რადიკალურ ცვლილებას პროექტში შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

14.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1 პროცენტის ოდენობით.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **2** პროცენტს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

15.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

15.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

23. ინტერესთა კონფლიქტი

23.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

24. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

24.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

24.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

24.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

24.5 ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24.6 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი სამი რჩება შემსყიდველს.

25. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:	მიმწოდებლის სახელით:
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის	ფიზიკური პირი
მერი	ივანე ათოშვილი
გიორგი კოპაძე	
_____	_____
ქ. ახალციხე, შ ახალციხელის ქ. #2	იური.მის: ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფ. უდე;
ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“	ფაქტ. მის: ქ. თბილისი, პეტრე გამყრელიძის ქ. №25;
ბანკის კოდი: TRESGE22	სს „ თიბისი ბანკი“
ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი _TBCBGE22
ს/კ 224095903	ა/ა GE25TB7197945063600025
	პ/ნ 03001003121